“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

„15“ 12 2015 წელი

ეგზ. N2

# საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

## ფინანსური აუდიტის ანგარიში 01/69/100

(2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი)

## სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე ........ 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ........ 3
აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები ........ 4
1.არაფინანსური აქტივები ........ 4
1.1.აღურიცხავი და შეუფასებელი ძირითადი აქტივები ........ 4
1.2.ოპერაციის დროში არასწორად ასახვა ........ 6
1.3. არასწორი კლასიფიკაცია ........ 6
1.4.საბალანსო ღირებულების არასწორი განსაზღვრა ........ 7
1.5.გამოუყენებელი აქტივები ........ 7
2 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ........ 8
2.1.არასწორი კლასიფიკაცია ........ 8
3. ხარჯები........ 9
3.1.ძირითადი კაპიტალის მოხმარება ........ 9
3.2.შრომის ანაზღაურება ........ 10
4.საცნობარო მუხლები ........ 11
5.მასშტაბის შეზღუდვა ........ 11
სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი ........ 14

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: ხარჯების ანგარიშს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების ანგარიშს, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების ანგარიშს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების ანგარიშს და ანგარიშს ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები

## 1.არაფინანსური აქტივები

### 1.1.აღურიცხავი და შეუფასებელი ძირითადი აქტივები

გარემოება: რიგ შემთხვევებში არაფინანსური აქტივები (შენობა,მიწა) არ არის შეფასებული ან/და ასახული კომპონენტების (სსიპ-ების) ფინანსურ ანგარიშგებაში:

| N | საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება | აქტივის დასახელება | დანიშნულება | საკადასტრო კოდი | ფართობი (კვ.მ) | ღირებულება (ლარი) | მისამართი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.15.04.017.018 | 7500.00 | - | თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N 17 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | სსიპ – ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.004.023.01.500 | 846.00 | - | თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N 123 |
| 3 | სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | შენობა | | 01.15.04.007.009 | 121.58 | - | თბილისი, რ. თაბუკაშვილის N 5 |
| | | შენობა | | 01.16.01.010.019 | 5083 | - | თბილისი, კონსტიტუციის ქ N2 |
| | | შენობა | | 03.03.21.248.01 | 470.50 | | ქუთაისი, ნაზარიშვილის ქ N5-7 |
| 4 | სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.004.032 | 3996.00 | - | თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ N 127 |
| 5 | სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი | მიწა | არასასოფლო სამეურნეო | 01.13.08.003.051 | 2160.00 | - | თბილისი, კარგარეთელის N6 |
| 6 | სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი | მიწა | სასოფლო-სამეურნეო | 01.15.07.014.016 | 313.00 | - | თბილისი, ოქროყანა N18 |
| 7 | სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.006.063 | 1503.00 | - | თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N 99/1 |
| 8 | სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის "ნიჭიერთა ათწლედი" | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.010.033 | 9148.00 | - | თბილისი, ჩხეიძის ქ N 8 |
| | - | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.15.05.014.009 | 2540.00 | - | თბილისი, ა.ჭავჭავაძის N 19 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.15.05.007.010 | 5532.00 | - | თბილისი, გრიბოედოვის N 22 |
| 10 | სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის N2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.15.02.033.041 | 2287.00 | 439104.00 | თბილისი, ბარნოვის N 54 |
| 11 | სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.011.032 | 820.00 | - | თბილისი, მარჯანიშვილის N8 |
| | - | მიწა | არასასოფლო-სამეურნეო | 01.13.08.011.033 | 3134.00 | - | თბილისი, უზნაძის N48-50 |
| | ჯამი: | | | | 45454 | | |

## 1.2.ოპერაციის დროში არასწორად ასახვა

*გარემოება:* ძირითადი აქტივების ჩამოწერის მუდმივმომქმედი კომისიის სხდომის ოქმისა (N2 01.04.2015) და მინისტრის ბრძანების (N03/121 20.04.2015) საფუძველზე განხორციელდა ქ. თბილისში ბეთლემის ქ. №26/7-ში მდებარე 222.9 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების (საწყისი საბალანსო ღირებულება 292.2 ათასი ლარი) მქონე საცხოვრებელი შენობის სამინისტროს აპარატის ბალანსიდან ჩამოწერა, რომელიც აისახა 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

## 1.3. არასწორი კლასიფიკაცია

*გარემოება:* სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლ ,,ერისიონი"-ს ფინანსურ ანგარიშგებაში, ,,დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი"-ს მუხლით საბოლოო ნაშთი შეადგენს 925 689 ლარს. წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნული წარმოადგენს ანსამბლის ბალანსზე რიცხულ შენობაზე (ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ.N7 )

განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების (შენობის გარემონტება, ფართის მიშენება-დაშენება) ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა დანახარჯების კაპიტალიზება და შესაბამისად არ გაზრდილა კონკრეტული ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულება.[1]

## 1.4.საბალანსო ღირებულების არასწორი განსაზღვრა

**გარემოება 1:** 2008 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/477 04/04/2008 ბრძანებით უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ქ. თბილისში აღმაშენებლის N64-68-ში მდებარე 1769 კვ.მ. შენობა-ნაგებობები (77805ლარი) და მათზე დამაგრებული 1124 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი (38216 ლარის ღირებულებით). 2011 წელს საკონსულტაციო ჯგუფ ,,კავკას აუდიტის" დასკვნის საფუძველზე მოხდა აღნიშნული შენობის 1 613 925 ლარამდე აფასება, რომელსაც დაემატა მისი საწყისი საბალანსო ღირებულება -77 805 ლარი და მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულება განისაზღვრა 1 691 730 ლარით.

**გარემოება 2:** 2014 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა გაიხსნა ოზურგეთის რაიონში. 2014 წლის 28 აპრილს გაფორმებული უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე ორგანიზაციას გადმოეცა ქ. ოზურგეთში ჭანტურიას ქ. N1-ში მდებარე 201 518 ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი შენობა და მასზე დამაგრებული 3237.81 ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო მიწა. აღნიშნული დაკვალიფიცირდა როგორც ძირითადი აქტივის, კერძოდ „შენობა-ნაგებების" მიღება და მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულება არასწორად[2] განისაზღვრა მასში მიწის ღირებულების ჩართვით.

## 1.5.გამოუყენებელი აქტივები.

**გარემოება:** სსიპ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელს „არაფინანსური აქტივების" საბალანსო მუხლის მიხედვით ერიცხება საცხოვრებელი ბინა, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება წლის ბოლოსთვის შეადგენდა 12 597 ლარს. მისი ბალანსზე აყვანის სამართლებრივი საფუძველი წარმოდგენილი ვერ იქნა, საჯარო რეესტრის მონაცემის თანახმად, ფართი არაა სასწავლებელზე დარეგისტრირებული და არც ფაქტობრივი

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 10, პუნქტი 1
[2] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტები 14; 16.

მისამართია დაზუსტებული. სასწავლებელი მისი ფლობიდან არ ღებულობს რაიმე სარგებელს[3] და არ არსებობს მისი აქტივად აღიარების საფუძველი[4].

გავლენა

სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი შემცირებულია 1 274.4 ათასი, ხოლო საბოლოო კი -222.9 ათასი ლარით. სულ ჯამში -1 497.3 ათასი ლარით.

## 2 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

სამინისტროს ნაერთი ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2014 წლის დასაწყისში ერიცხებოდა 5412.7 ათასი ლარის მოთხოვნები, რომელიც წლის განმავლობაში შემცირდა 967.5 ათასით და წლის ბოლოს შეადგინა 4 445.2 ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანების სახით ირიცხებოდა 5537.9 ათასი ლარის ვალდებულება, რომელიც გაიზარდა 72.0 ათასით და წლის ბოლოს შეადგინა 5 609.9 ათასი ლარი.

### 2.1.არასწორი კლასიფიკაცია

გარემოება 1: **სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმს** სამხრეთ კავკასიის მილსადენი კომპანიასთან (BP) არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე გაფორმებული აქვს ჩარჩო-ხელშეკრულება NC-13SCPX-346311, რომლის პირობების შესაბამისად კომპანია ყოველი თვის დასრულებიდან 15 სამუშაო დღეში უნაზღაურებს მუზეუმს საანგარიშო თვეში შესრულებული სამუშაოების ღირებულებას. 2014 წლის დეკემბრის თვეში აღნიშნული პროექტის ფარგლებში დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომლებზე, შესაბამისი გატარების თანახმად (დებეტი 7210 კრედიტი 3252), დარიცხულია ხელფასი 24 670 ლარის ოდენობით, რომელიც წლის ბოლოს ასახულია ბალანსის შესაბამის მუხლში (3252) ვალდებულების სახით, ასევე აღნიშნულ თანხაზე დეკემბრის თვეში ნაწარმოებია არასწორი გატარება (დებეტი 1360 კრედიტი 7210), რის შედეგადაც საბალანსო ანგარიშზე ,,სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები“ (1360), წლის ბოლოს იგივე შტატგარეშე თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებასთან ერთად ირიცხება 24 670 ლარის მოთხოვნა, შესაბამისად აღნიშნული თანხით ზედმეტადაა გაზრდილი ბალანსის აქტივის ნაწილი.

---

[3] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 41, პუნქტი1, ქვეპუნქტი „ა“

[4] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება, მუხლი 2, პუნქტი „თ“

**გარემოება 2: სსიპ თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი ფიანანსურ ანგარიშგებაში დარბაზის მომსახურებით წარმოშობილი მოთხოვნა** სსიპ ,,მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის" მიმართ 11 000 ლარის ოდენობით ასახულია საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების (3210) ანგარიშზე ნაცვლად სხვა დანარჩენ მოკლევადიან მოთხოვნების (1480) ანგარიშისა.

გავლენა

კონსოლიდირებულ ბალანსში „ფინანსური აქტივების" საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 13 670 ლარით. ამასთან გაზრდილია ვალდებულებების საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთი 11 000 ლარით

# 3.ხარჯები

## 3.1.ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: ცვეთის ხარჯის გაანგარიშებისას დაშვებულია რიგი უზუსტობები:

| სსიპ-ის დასახელება | უზუსტობის სახე | | უზუსტობის შედეგი | |
|---|---|---|---|---|
| | ცვეთის გაანგარიშებისას შერჩეულია არასწორი ბაზა | ცვეთის გაანგარიშებისას შერჩეულია არასწორი ნორმა | გაზრდა | შემცირება |
| სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის თეატრი | | V | | 78,866 |
| სსიპ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელი | V | | | 1,865 |
| სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი | | V | 49,794 | |
| სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | V | | | 4,154 |
| სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | | V | 1,543 | |

გავლენა:

ცვეთის ხარჯი შემცირებულია ჯამში 33 548 ლარის ოდენობით, შესაბამისად გაზრდილია „წმინდა ღირებულების“ ან/და „კაპიტალის“ ანგარიშების საბოლოო ნაშთი

## 3.2.შრომის ანაზღაურება

**გარემოება:**

არასწორი კლასიფიკაცია

- სსიპ – თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრს შტატით მომუშავეთა დანამატი 12 500 ლარის ოდენობით ხარჯებში ასახულია, როგორც შტატით მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო.
- „შრომის ანაზღაურების“ მუხლში ასახულია შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება: სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონს“ - 750 ლარი; მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს - 4581 ლარი, სსიპ – ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს - 67499,35 ლარი და სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს კი -875 ლარი, რომელიც უნდა ასახულიყო ,,საქონელი და მომსახურების“ მუხლით.
- „შრომის ანაზღაურების“ მუხლში აქვს ასახული მატერიალური დახმარება სსიპ – ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსულ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს - 3500 ლარი და სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს -1734 ლარი, ხოლო სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს შტატით მომუშავეთა მატერიალური დახმარება 687,5 ლარის ოდენობით ასახული აქვს, როგორც შტატით მომუშავეთა დანამატი.

## 4.საცნობარო მუხლები

**გარემოება 1:** სამინისტროს ნაერთი ბალანსის საცნობარო მუხლში N 06 („პირობითი ვალდებულებები“) წლის დასაწყისისთვის ერიცხებოდა 933 330 ლარი. აქედან, ძირითადი თანხა 544325 ლარი ირიცხება სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაზე. იგი მოიცავს სამშენებლო ორგანიზაცია „სპეცრემდიზაინი“-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას - 230734 ლარი, განბაჟების თანხას 273591 ლარი და ი/მ სებო სებისკვერაძის მიმართ დავალიანებას - ავეჯის ღირებულება 40000 ლარი. აღნიშნული თანხების ასახვა საცნობარო მუხლის „პირობით ვალდებულებების“ პუნქტში არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს.

**გარემოება 2: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმს** ერიცხება გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება 25000 ლარი, იგი წარმოშობილია 1997 წელს შპს „დავითი“-ის მიმართ, ასევე 40080 ლარი წარმოშობილი 2002 წელს ასოციაცია „ქართული წიგნი“-ის მიმართ; აღნიშნული დავალიანებები გადატანილია საცნობარო მუხლში 2009 წლის 14 დეკემბრის საკომისიო ოქმის საფუძველზე, რომლებიც ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, 5 წლიანი ვადის გასვლის გამო უნდა მოხსნილიყო საცნობარო მუხლიდან, რაც არ განხორციელებულა.

**გარემოება 3 : სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია** ერთი მსუბუქი ავტომანქანა (GEL – 757), რომელიც ამორტიზებულია და შესაბამისად ღირებულებაც განულებულია, ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439-ე მუხლის მე-6 მუხლის თანახმად, არ არის გადატანილი საცნობარო მუხლში

## 5.მასშტაბის შეზღუდვა

### 5.1.არაფინანსური აქტივები

- სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის საბალანსო ნაშთების რეალობას ვერ ვადასტურებთ, ვინაიდან არ ხდებოდა საბუღალტრო ჩანაწერების (გატარებები) წარმოება. აღრიცხვა არ წარმოებდა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში.
- 2012 წელს ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილ შენობაზე ჩატარებულია აღდგენითი სარესტავრაციო სამუშაოებზე არაა გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და უცნობია შესრულებულ

სამუშაოთა ღირებულება, შესაბამისად არ მომხდარა მისი კაპიტალიზება და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა;

- სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის 2004 წლის 5 ნოემბრის უზუფრუქტის ხელშეკრულებით და შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტით გადმოცემულია აღმაშენებლის გამზირ N 182-ში მდებარე შენობა-ნაგებობები, საერთო საბალანსო ღირებულებით 132 607 ლარი და ნარჩენი ღირებულებით 43 729 ლარი 4998 კვ.მ ფართის ოდენობით._ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 19 ივლისის N1-1/1508 ბრძანებით N3,7,8,10 ნაგებობები გადაეცა თბილისის თვითმმართველ ერთეულს, თუმცა გადაცემულ ქონებაზე არ არის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი და მისი ღირებულება დაუდგენელია. შესაბამისად ორგანიზაციის ბალანსზე დარჩენილი შენობა ნაგებობების გამიჯვნა ვერ ხერხდება.
- ***ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია.*** სამინისტროს ნაერთ ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ნაშთების რეალობის დადასტურების მიზნით, აუდიტის ჯგუფის მიერ მოთხოვნილ იქნა სამინისტროს აპარატისა და დაქვემდებარებული სსიპ-ების (85) მიერ ჩატარებული სავალდებულო ინვენტარიზაციის მასალები[5] . ნაერთი ანგარიშგების სახაზინო სამსახურში წარდგენის მომენტისთვის (9 მარტი) მასალები არ ჰქონდა წარმოდგენილი 51 (60%) მათგანს (აპარატი და სსიპ-ები).

## 5.2.მოთხოვნა-ვალდებულებები:

- *სამინისტროს ცენტრალური აპარატის* ბალანსიდან სათანადო საფუძვლის გარეშე (საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა) ჩამოწერილია 260644 ლარის დებიტორული დავალიანება. აქედან 2014 წელს ჩამოწერილია 88301 ლარი, ხოლო დანარჩენი 2007-2009 წლებში, აღნიშნული თანხები წარმოადგენს 1997-2004 წლებში იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საგადასახადო დავალებებით გადარიცხულ თანხებს.
- *სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის* ბალანსის საცნობარო მუხლში ასახულია გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება 336000 ლარის ოდენობით. აღნიშნულის ბალანსიდან ჩამოწერის საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე ვერ ხდება მისი იდენტიფიცირება;
- *სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას* ჩამოწერილი აქვს 10695 ლარის დავალიანება, რომლის საფუძველიც დოკუმენტურად წარმოდგენილი ვერ იქნა, არ არის საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა და ხელმძღვანელის ბრძანება, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო დავალიანების ჩამოწერა;
- *სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა* ვალდებულების ანგარიშიდან (3210), ჩამოწერა 3432 ლარის მომსახურების

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება,

მოწოდებით წარმოშობილი ძველი წლების დავალიანება, რომელზეც ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა.

- *სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი* ბალანსიდან ჩამოწერილია და საცნობარო მუხლში (03) ასახულია 2006 წელს წარმოშობილი 1462 ლარის მოთხოვნა შპს 2000 -ის მიმართ. რაზეც ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა.
- არ დასტურდება (არაიდენტიფიცირებადია) 284 003 ლარის დებიტორული და 356 831 ლარის კრედიტორული დავალიანება.

| კომპონენტი (სსიპ) | მოთხოვნის ანგარიში | თანხა | ვალდებულების ანგარიში | თანხა2 |
|---|---|---|---|---|
| სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო | - | - | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 6809 |
| - | - | - | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები | 20091 |
| - | - | - | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 54320 |
| სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები | 5159 | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 10000 |
| - | - | - | საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები; | 31 400 |
| სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით | 24841 | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 157203 |
| - | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები | 1354 | - | - |
| სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები | 2784 | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები | 1579 |
| სსიპ – თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | - | - | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 53525 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსიპ – ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი[6] | - | - | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 53304 |
| სსიპ ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი[7] | გადახდილი დღგ | 249865 | - | - |
| სულ | | **284003** | | **356831** |

## 5.3. საცნობარო მუხლები

- სამინისტროს ცენტრალურ აპარატს საცნობარო მუხლით 02 (პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები) არიცხია 19 518 ლარის ნაშთი, რომლის წარმოშობის თარიღი და ოპერაციის შინაარსი უცნობია.

# პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს.

[6] აღნიშნულ დავალიანებაზე კრედიტორი იდენტიფიცირებადია, თუმცა აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია კრედიტორული დავალიანების ამსახველი პირველადი დოკუმენტაცია

[7] აღნიშნულზე აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია შედარების აქტი შემოსავლების სამსახურთან, შესაბამისად ნაშთების სიზუსტეს ვერ ვადასტურებთ

## სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

# 1.აღრიცხვა-ანგარიშგება

### 1.1.არაფინანსური აქტივები

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსტიტეტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების (მიღება-ჩაბარების აქტები, უზურფრუქტის ხელშეკრულებები და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებები, ასევე მანქანა-დანაგარების რეესტრი) მიხედვით, აქტივების ღირებულებების ჯამი არ შეესაბამება საწყის საბალანსო ნაშთებს.
- 2009 წელს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებით[8], სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ქ. თბილისში, ათონელის ქუჩა N27-ში მდებარე 371 კვ.მ. არასასოფლოს სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა, საბაზრო ღირებულებით 2 734 000 ლარი. აღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდეგ არ მომხდარა ხელშეკრულების გაფორმება და საჯარო რეესტრში სარგებლობის უფლების დარეგისტრირება, შესაბამისად არც ამ ქონების სააგენტოს ბალანსზე ასახვა. საჯარო რეესტრში 2013 წლის 12 დეკემბერს მომზადებული ახალი ამონაწერის მიხედვით აღნიშნული ქონების მესაკუთრედ ფიქსირდება 11 ფიზიკური პირი, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად საჯარო რეესტრში წარდგენილია საოქმო განჩინება[9].

### 1.2..მოთხოვნა-ვალდებულებები

*არასწორი კლასიფიკაცია*

| კომპონენტი (სსიპ) | თანხა | ასახულია ანგარიშზე | უნდა ასახულიყო ანგარიშზე |
|---|---|---|---|
| სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი | 6178 | 1470 | 1358 |

[8] 2009 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/2438
[9] საოქმო განჩინება, საქმე N2-10192-13, დამოწმების თარიღი:24/10/2013, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

| | | | |
|---|---|---|---|
| სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | 296003 | 1431 | 1432 |
| სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი | 20589 | 1358 | 1410 |
| | 19333 | 1470 | 1431 |
| სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი | 2385 | 1431 | 1432 |
| სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | 58036 | 3210 | 3220 |
| სსიპ – ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი | 11275 | 1431 | 1432 |
| სსიპ – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელი | 1750 | 1431 | 1355 |
| | 5944 | 1480 | 1355 |

### 1.3. შეუსაბამობები ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ ფორმებში

- *სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის N2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი.* ბალანსის დანართ ფორმა N4-ში „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების" გრაფაში ასახული თანხა 159 441 ლარი, რომელიც მოიცავს სწავლის გადასახადის თანხებს, ასახული უნდა იყოს ამავე ფორმის „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია" გრაფაში.
- *სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი ერისიონი.* ბალანსის დანართ ფორმა N5-ში საკუთარი შემოსავლებიდან შეძენილი მატერიალური მარაგები (საწვავი, ფეხსაცმლის ტყავი და სხვა) თანხით 6373 ლარი ასახული უნდა იყოს „სხვა შემოსავლებით" გრაფაში, ნაცვლად „სხვა ეკონომიკური

ნაკადებით“ გრაფისა. ბალანსის დანართ ფორმა N4-ში „ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა“ გრაფაში ნაჩვენები 70570 ლარი, რომელიც წარმოადგენს ღონისძიებებიდან მიღებულ შემოსავალს ასახული უნდა იყოს „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ გრაფაში.

- *სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.* ბალანსის დანართ ფორმაN4-ის არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში ზედმეტად ასახულია ბანკის ანგარიშებს შორის შიდა ბრუნვა 726 758 ლარის ოდენობით. ბალანსის საცნობარო მუხლში (04) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში არასწორადაა დაფიქსირებული საწყისი ნაშთი, ნაცვლად 444 538 ლარისა ასახულია 44 538 ლარი.
- *სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი.* თეატრის ბალანსში 2218 დოლარის ნაშთის ექვივალენტი ლარში წარდგენილია საბალანსო ანგარიშზე მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში (1210), რაც ასახული უნდა იყოს ანგარიშზე მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში (1220).
- *სსიპ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.* ბალანსის დანართ ფორმა N5-ში 31033 ლარი ნაცვლად გრაფისა „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“ ასახული უნდა იყოს გრაფაში „სხვა შემოსავლებით“.
- *სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.* ბალანსის დანართ ფორმა N5 ის მატერიალური მარაგების ნაწილში საწყის ნაშთად ირიცხება 20871 ლარის დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც აღრიცხული უნდა ყოფილიყო ნედლეულსა და მასალებში (აღნიშნული განულებულია წლის ბოლოს). ვადაგადაცილებული დავალიანებების საწყისი და საბოლოო ნაშთი არ ედრება კრედიტორული დავალიანების ფორმას (დავალიანების წარმოშობის წლების მიხედვით). საწყის ნაშთად ბალანსში ფიქსირდება 152264 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანების ფორმის მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული დავალიანება იყო 87844. საბოლოო ნაშთად ფიქსირდება 120432, ხოლო კრედიტორული დავალიანების ფორმის მიხედვით 2014 წლის ბოლოსთვის ვადაგადაცილებულ დავალიანებად ფიქსირდება 117678 ლარი.
- *სსიპ მწერალთა სახლი.* საბალანსო ანგარიშზე სადეპოზიტო ანგარიში ბანკში (1230) საბოლოო ნაშთი წლის ბოლოს შეადგენს 19381 ლარს. აღნიშნული თანხა ასახული უნდა ყოფილიყო ანგარიშზე მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში (1220). ბალანსის დანართ ფორმა N5-ში „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“ გარაფაში წარმოდგენილი 6266 ლარი (მატერიალური მარაგების შესყიდვა) ასახული უნდა იყოს ამავე ფორმის „სხვა შემოსავლებით“ გრაფაში. ამავე ფორმაში გრაფაში „სხვა მიღებები“ წარმოდგენილი 11260 ლარი (აქტივების აფასება) ასახული უნდა იყოს გრაფაში „სხვა ეკონომიკური ნაკადებით“.

- *სსიპ  თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.* ბალანსის დანართ ფორმა N5-ში „შესყიდვა მიმდინარე პერიოდის" გრაფაში ასახულია 2528 ლარის მატერიალური მარაგები, რომლებიც გადმოცემულია უსასყიდლოდ.
- *სსიპ – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.* ბალანსის დანართ ფორმა N4-ში დ. აღმაშენებლის გამზ, N 68 ში მდებარე ფართის იჯარის თანხა 73150 ლარის ოდენობით ასახულია „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია" გრაფაში, ნაცვლად გრაფისა „შემოსავლები საკუთრებიდან".

### 1.4. შეუსაბამობები ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ფორმის მონაცემებს შორის

- *სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის "ნიჭიერთა ათწლედი".* ბალანსის დანართების ფორმა N2 და ფორმა N2.1-ის საკასო ხარჯის ჯამი არ ედრება ბალანსის დანართ ფორმა N3-ში ასახულ საბიუჯეტო დაფინანსების თანხას.
- სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონი"-ის  ბალანსის დანართ ფორმა N2-ში ასახული არ არის ცვეთის თანხა 189 396 ლარი.

## 2.ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა

„2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ"  საქართველოს კანონით სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობა განისაზღვრა 80 000.0 ათასი ლარით, რომელიც  16 229.2 ათასი ლარით ნაკლებია საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილზე.

*პროგრამული ბიუჯეტის შესრულება(ათვისება )*

მინისტრის 2014 წლის 9 იანვრის N03/4 ბრძანებით დამტკიცებულია 24 პროგრამა, აქედან 9 პროგრამის შემთხვევაში ათვისებამ პირველად დამტკიცებული ბიუჯეტის 100%-ს გადააჭარბა. მაგ. საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებების პროგრამის საკასო ხარჯი თავდაპირველად დამტკიცებული პროგრამის

ბიუჯეტის 378%-ია, ხოლო 9 პროგრამაზე კი ათვისება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის 50%-ზე ნაკლებია. 2014 წლის განმავლობაში საკასო ხარჯი საერთოდ არ გაწეულა პროგრამებზე: „სამეზობლო კულტურული ურთიერთგაცვლის პროგრამა", „კრეატიული ინდუსტრიის მოხმარების სტიმულირების პროგრამა", „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვთა და ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა", „კულტურის სფეროს კომერციალიზაციის პროგრამა".

*განხორციელებული ცვლილებები*

2014 წლის განმავლობაში დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებამ პროგრამულ კოდებს შორის ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების (92) მიხედვით სულ შეადგინა 3 988.8 ათასი ლარი, რაც სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნების 4.9%-ია და არ აჭარბებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ 5%-იან ზღვარს. ცვლილებებმა ქვეპროგრამებს შორის (135)–4 683.1ათასი, ხოლო ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლებს შორის (51) – 976.3 ათასი ლარი შეადგინა.

- „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით პროგრამის „კულტურული სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფისა და ფინანასური ძლიერების პროგრამა" (33 05) დამტკიცებულმა ასიგნებამ შეადგენდა 3 515.0 ათას ლარს. პროგრამებს შორის ცვლილებების ძირითადი ნაწილი - 3 134 896 ლარი, განხორციელებულია სწორედ აღნიშნული პროგრამიდან კერძოდ: 1895.0 ათასი ლარი მიმართული იქნა „კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდიდან" (კოდი 33 05 02), ხოლო 1239.9 - პროგრამული ფონდიდან „კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების პროგრამა" (კოდი 33 05 01)); საიდანაც 2 037 651 ლარი მიმართული იქნა და გაიზარდა პროგრამის „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ" (კოდი 33 02) ქვეპროგრამები, როცა აღნიშნული პროგრამული კოდიდან ცვლილებები, დაახლოებით 640 ათასი ლარის ფარგლებში, განხორციელდა სხვა კოდების სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი სახსრები გადატანილი იქნა „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა" (აპარატი)(33 01) და ,,სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწობა" (კოდი 33 03) პროგრამებში . ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე „კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამით" გათვალისწინებული არ იყო რაიმე კონკრეტული ღონისძებების განხორციელება, აქედან გამომდინარე ის ასრულებდა „გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის" საჭირო ერთგვარ ბუფერული რეზერვის ფუნქციას.
- სამინისტროს აპარატის (კოდი 33 01) თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით სხვადასხვა პროგრამული კოდებიდან მობილიზებულია 479 261 ლარი, მათ შორის ძირითადად 33 05 კოდიდან (420 502 ლარი). აღნიშნული კოდიდან განხორციელებული მასშტაბური ცვილილებების (კლება) პირობებში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოთხოვნილი და მიღებულია 516.7 ათასი ლარის ასიგნებები (მთავრობის განკარგულება N2326 18.12. 2014) აქედან 399.7 ათასი ლარი განკუთვნილი იყო ქ. თბილისში ახალი წლის ღამეს უცხოური ჯგუფების ,,parove stelar band" და „groovesonix band"-ის კონცერტების ჩასატარებლად, ხოლო 117.0 ათასი

ლარი - ზღაპარ-შოუ ,,ყინულის დედოფლის“ დასაფინანსებლად. განხორციელებული ცვლილებების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 33 05 02 კოდის ქვეშ არსებულმა სსიპ-მა ფუნქციონირება დაიწყო ნოემბრის თვიდან და ვინაიდან ჩასატარებელი ღონისძიებების სახრები არ იყო საკმარისი, საჭირო გახდა მათი მოზიდავა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

- ქვეპროგრამებს შორის ცვლილებების ძირითადი ნაწილი 2 341 984 ლარის ღირებულებით, ისევე როგორც გასულ წელს, განხორციელებულია ,,საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამის "ქართული სეზონი“ (კოდი 33 02 01 40) პროგრამული კოდიდან, პროგრამის „ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ ქვეროგრამების სასარგებლოდ ქვეყნის შიგნით, თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა კულტურული ღონისძებების დაფინანსებისთვის. მათ შორის 595413 ლარი მიმართულია პოგრამის „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერის ღონისძიებები“(კოდი 33 02 02) პროგრამულ კოდზე „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალის ორგანიზებისთვის. 200.0 ათასი ლარი - „ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამა“ (33 02 01 29) ქვეპროგრამაზე „ფესტივალის „ღამის სერენადების“ ჩატარების მიზნით, 150.0 ათასი ლარი - „სსიპ-მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (33 02 01 17) ქვეპროგრამაზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ სპექტაკლის „ცხოველების ფერმა“ წარდგენისთვის. აღსანიშნავია, რომ პროგრამიდან "ქართული სეზონი“ (კოდი 33 02 01 40) სისტემატურად (წინა პერიოდები) ხდება ასიგნებების დარეზერვება, რომლებიც შემდგომ ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებში, ხოლო დარჩენილი სახსრები მიმართულია თავისუფალი პროექტების დასაფინანსებლად, რაც წინასწარ არ იგეგმება.
- ხშირ შემთხვევაში მხარჯავი უწყების მიერ ფინანსთა სამინისტროსათვის გაგზავნილ წერილში, სადაც იგი ითხოვს ხარჯთაღრიცხვების ცვლილებას და შესაბამისად ასიგნებების გადანაწილებას, მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება აღნიშნული სახსრებით, თუმცა არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რომელი აქტივობების შეჩერებას გამოიწვევს სხვა პროგრამების ასიგნებებიდან მითითებული თანხების ჩამოჭრა და შედეგად ვერ საბუთდება განსახორციელებელი ცვლილების აუცილებლობა და მისი უპირატესობა ასიგნებების გადანაწილების არსებულ ფორმატთან მიმართებაში.

## 3. შესყიდვები

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (33 00) მიერ 2014 წლის შესყიდვების წლიური გეგმა წლის განმავლობაში დაკორექტირდა 50-ჯერ და საბოლოოდ 49%-ით გაიზარდა (1,112 ათასი ლარი) საწყის გეგმასთან შედარებით, რაც განპირობებულია სამინისტროს მიერ პროგრამებით განსახორციელებელი ღონისძიებების, თავდაპირველ შესყიდვების გეგმაში გაუთვალისწინებლობით; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აპარატის (33 00) მიერ 2014 წლის განმავლობაში გაფორმებული შესყიდვების 275 ხელშეკრულებიდან 229 გამარტივებული ფორმით იქნა

განხორციელებული. აღნიშნული შესყიდვები ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულების (3,283 ათასი ლარი) 67%-ს შეადგენს.

### 3.1.სატენდერო დოკუმენტაციით კონკურენციაშემზღუდველი ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრა.

- 2014 წლის 19 მაისს სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი (SPA140012932) 17 დასახელების 273 ერთეული მუსიკალური ინსტრუმენტის შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით - 48 740 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით საქონლის აღწერილობის საშუალებად განისაზღვრა პრეტენდენტის მიერ ნიმუშის წარმოდგენა „მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში“. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2 პრეტენდენტმა ი/მ დავით ყიფიანმა და შპს ,,მაი მობაილ“-მა, რომელთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების საბოლოო ფასმა შესაბამისად შეადგინა 48 740 ლარი და 43 777 ლარი. იმის გამო, რომ უმცირესი ფასის წარმომდგენმა, შპს ,,მაი მობაილ“-მა 2 დღიან ვადაში სრულად ვერ წარმოადგინა მუსიკალური ინსტრუმენტების ნიმუშები და რიგ შემთხვევებში წარდგენილი საქონლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისიის მიერ მოცემული კომპანია დისკვალიფიცირებულ იქნა და ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა ინდ. მეწარმე დავით ყიფიანი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 48 740 ლარი. მოცემული მოთხოვნა რისკის შემცველია შემდეგი გარემოებების გამო: პირველი, მოცემული საქონლის ბაზარი არ წარმოადგენს აქტიურ ბაზარს და ძირითადად დამოკიდებულია ინდივიდუალურ შეკვეთებზე; მეორე, აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება მოცემულ საქონლის შეზღუდულ ვადებში შესყიდვის დასაბუთების თაობაზე, რომელიც თავის მხრივ გახდებოდა პრეტენდენტებისადმი კონკრეტული მოთხოვნის განსაზღვრის საფუძველი; ამასთან, შესყიდვების სააგენტოს პორტალზე არსებული ინფორმაციით ი/მ დავით ყიფიანს სულ პრეტენდენტის სახით მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ 2 ტენდერში და ორივე შემთხვევაში ის გამარჯვებულად გამოცხადდა, ხოლო პორტალზე მიმწოდებლად დარეგისტრირდა სამინისტროს მიერ 2013 წლის 23 სექტემბერს გამოცხადებული ტენდერი (SPA130020804) -ის მიხედვით, წინადადების მიღების დაწყებამდე ერთი დღით ადრე.
- **თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას** 2014 წლის 14 აგვისტოს გამოცხადებული აქვს ტენდერი N SPA140019422, შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვაზე (CPV 45400000) (საკანალიზაციო ქსელის მოწყობა), 10 000 ლარად დღგ-ს ჩათვლით. სატენდერო დოკუმენტაციით ტენდერში მონაწილე პრტენდენტებისთვის განისაზღვრა შემდეგი აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნა:

1.2010 წლიდან წინადადების წარდგენის დღემდე არანაკლებ 1 000 000 ლარის ჯამური ბრუნვა 2. არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ***სამშენებლო საქმიანობაში*** (მინიმუმ ერთი პროექტი სასწავლო დაწესებულებაში). ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი პრეტენდენტი შპს ,, ლ.დ. იუნიონი“, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 9880 ლარი. იმ ფაქტს, რომ მოცემული ტექნიკური მოთხოვნები შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში არაპირდაპირი და არაპროპორციულად არის განსაზღვრული ადასტურებს შემდეგი გარემოებები: პირველი, კონტრაქტის მცირე „ზომა“ (სავარაუდო ღირებულება 10 000 ლარი), მეორე, მოცემულ მომსახურებაზე (საკანალიზაციო ქსელის მოწყობა) არსებული კონკურენტუნარიანი და აქტიური ბაზარი და მესამე, მოცემული კონტრაქტისთვის მიწოდების არც თუ ისე შეზღუდული ვადები. ამასთან გარკვეული რისკის შემცველია ის გარემოება, რომ კომპანიამ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ანალოგიურ დარგში საქმიანობის 5 წლიან გამოცდილების დასტურად წარმოადგინა, 2008 წლიდან 2014 წლამდე მის მიერ გაფორმებული კონტრაქტების შესახებ ინფორმაცია, საიდანაც ჩანს რომ მას ამ პერიოდში, (კონკრეტულად 2011 და 2012 წელს) შესრულებული აქვს კონსერვატორიის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჯამში 445 411 ლარის ოდენობით.

- **გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის** მიერ 2014 წლის 15 მაისს გამოცხადებულ იქნა ტენდერი N SPA140012648, სტელაჟების შესყიდვის მიზნით სავარაუდო ღირებულება 19 500 ლარი დღგ-ს ჩათვლით. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენდებისადმი წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნად განისაზვრა ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ ***ორწლიანი*** გამოცდილება, რის შესახებაც მას უნდა წარმოედგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი). მოცემული მოთხოვნა არაპროპორციულია შესყიდვის ობიექტის ხასიათთან მიმამართებაში, ვინაიდან სტელაჟების მოწყობა არ წარმოადგენს მომსახურების ისეთ სახეს, რომელიც გარკვეული სირთულით ხასიათდება და მოითხოვს სპეციალურ ცოდნას. ასეთი პროპორციით გამოცდილების მოთხოვნის მიზანს ჩვეულებრივ, ნორმალური პრაქტიკის პირობებში წარმოადგენს მაღალი სირთულის და სპეციალური ცოდნის მომსახურების შესყიდვის პროცედურებში კვალიფიციური მიმწოდებლის „დაშვება“. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა შესყიდვის ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, კონკურენციის შეზღუდვის რისკის შემცველია, რაც ნაწილობრივ დასტურდება იმ ფაქტით რომ ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი პრეტენდენტი ი/მ ავთანდილ ქაფიანიძე, რომლის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულებამ შეადგინა 19500 ლარი. ამასთან, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები, რომელიც დაასტურებდა პრეტენდენტის გამოცდილების შესაბამისობას სატენდერო წინადადებით განსაზვრულ შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნასთან. გამოცდილების

დამადასტურებელი დოკუმენტალური მტკიცებულებები შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული. უფლებამოსილი პირის განმარტებით, პრეტენდენტის მიერ, გამოცდილების დადასტურების მიზნით წარმოდგენილ იქნა 2013 წლის 4 თებერვალს ცენტრსა და ფ/პ ავთანდილ ქაფიანიძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

- **სსიპ მწერალთა სახლს** 2014 წლის 5 აგვისტოს გამოცხადებული აქვს ტენდერი (SPA140018758 )სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოების *(ქ. თბილისში, სსიპ ,,მწერალთა სახლის" ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ლანდშაფტის შეცვლის, პანდუსებისა და ეზოში შესასვლელი ტერიტორიის მოწყობის, ფერდობის ტერასირების სამუშაოები, ნიადაგის მოჭრისა და მიწის ამოვსების სამუშაოები, ბუჩქნარის ამოძირკვის, ასევე გამწვანებული ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები*) შესყიდვაზე სავარაუდო ღირებულებით 123 500 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი პრეტენდენტი შპს ,,დიზაინ ავენიუ", რომლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულებამ შეადგინა 122 600 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით განისაზღვრა ტენდერში მონაწილე პირთა მიმართ ტექნიკური მოთხოვნა 1) 2007 წლიდან სამუშაო გამოცდილება *(პრეტენდენტს ანალოგიურ სფეროში განხორციელებული უნდა ჰქონოდა არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო).* წარმოდგენილ უნდა ყოფილიყო შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელსაც უნდა დართვოდა აღნიშნული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. 2) ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა არანაკლებ 1 დადებითი რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მის მიერ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ, რომლის ღირებულება უნდა ყოფილიყო არანაკლებ 25 000 ლარისა. 3) ინფორმაცია პრეტენდენტი ორგანიზაციის 2013 წლის ბრუნვის შესახებ არანაკლებ 2 000 000 (ორი მილიონი) ლარისა, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი ბრუნვითი უწყისის სახით. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ტენდერში მონაწილე ერთადერთი კომპანია შპს ,,დიზაინ ავენიუ" აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, გარდა 2 მლნ ლარის ბრუნვისა (წარმოადგინა მხოლოდ 2013 წლის 7 ოქტომბერს შპს „გუდაური სქი რესორტ"-თან გაფორმებული ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტები), მიუხედავად ამისა ის გამოვლინდა გამარჯვებულად და გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით -105 198,57 ლარი. ამასთან, სამუშაოების მიღება განხორციელდა ხარისხისა და მოცულობის საექსპერტო შეფასების გარეშე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

